

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული საკრებულოს 10 კომისიასთან ერთად)
სხდომის ოქმი
№-1

2021 წელი, 7 დეკემბერი, 13:00 სთ.

ქ. თბილისი;
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ზურაბ აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი

მოწვეული პირები:

- ირაკლი ხმალაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილეობის კანდიდატი;
- ილია ელოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
- ანდრია ბასილაია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
- ირაკლი ბენდელიანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეობის კანდიდატი;
- ვლადიმერ ჭილაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (ადმინისტრაციის უფროსი) კანდიდატი;
- გიგა გიგაშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (საქალაქო სამსახურის უფროსი) კანდიდატი;

- ირაკლი ანდღულაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
- გაიოზ ვასაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი;
- ვახა სამხარაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის (გამგებელი) კანდიდატი.

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით უთმელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ვლადიმერ ძნელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ნიკა ელისაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წამალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდლულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი;
26. ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიერ საკრებულოს კომისიებში წევრის წარდგენის შესახებ საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

კომისიათა გაერთიანებული სხდომა გახსნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც მიესალმა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს კომისიათა წარმომადგენლებს, მერის პირველი მოადგილის, მოადგილეების, საქალაქო სამსახურებისა და რაიონული გამგეობის თანამდებობებზე დანიშენისათვის წარმოდგენილ კანდიდატურებს. დადებითად შეაფასა მათი განვლილი საქმიანობა, ყველას უსურვა წარმატებები, ამასთან, ირაკლი ხმაღამეს – მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე კომისიათა მიერ კენჭისყრის დაწყებამდე, თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატების გაცნობა, დასახული მიზნების გაჟღერება, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესი ნაწილი ნაცნობია საზოგადოებისათვის, ემსახურობდნენ დედაქალაქს და ასრულებდნენ უმნიშვნელოვანეს ფუნქცია-მოვალეობებს, იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რაც დადებითად აისახებოდა მუნიციპალიტეტის ინტერესებზე.

კომისიის თავმჯდომარემ ქალაქ თბილისის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატს ასევე შესთავაზა, რომ მოხსენების შემდგომ, წარიმართოს კითხვა-პასუხის რეჟიმი, ხოლო, შემდგომ, კომისიები იმსჯელებენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

ირაკლი ხმაღამემ შეაფასა/შეაჯამა წარმოდგენილ კანდიდატებთან ერთად, განვლილი ოთხი წლის მანძილზე განხორციელებული საქმიანობა, აღნიშნა, რომ მათთვის პატივი იყო გასული წლების მანძილზე დედაქალაქზე ზრუნვა, ფუნქცია-მოვალეობების მუდმივ რეჟიმში შესრულება და პროექტების განხორციელება. ამასთან დასძინა, რომ გააჩნიათ უფრო მეტი შემართება, ძალა და ენერჯია, კვლავ ემსახურონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების დასრულებისათვის, ასევე, იმ პრობლემების/ხარვეზების აღმოფხვრისათვის, რაც არსებობს და გამოვლენია.

საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რეგაზ სოხაძემ კითხვებით მიმართა ირაკლი ხმაღამეს, კერძოდ:

1. იგეგმება თუ არა რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები, იმ შემთხვევათა მიმართ, როდესაც ადგილი აქვს კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობისათვის ფუნქციური დანიშნულების ცვლილებას, საჯარო რეესტრში ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირების ეტაპზე;
2. მიმდინარეობს თუ არა მნიშვნელოვანი ქმედითი ამკრძალავი ღონისძიებები იმ პირთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე იკავებენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას, უკანონო ნაგებობის აშენებისა და რეალიზაციის მიზნით;
3. ხომ არ მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევებამდე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ურბანული სამსახურის ქალაქგეგმარებითი პოზიციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ირაკლი ხელაძემ დადებითად შეაფასა სხდომაზე დამსწრე კანდიდატები, ამასთან, კითხვით მიმართა ირაკლი ხმაღამეს, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნაძალადევის რაიონში არსებული ავარიული სახლები მძიმედ აისახება მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, აღნიშნული საჭიროების შესაბამისად, ამჟამად, რა ეტაპზეა, „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა“.
- დაინტერესება გამოხატა ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მიერ სამუშაოების ეფექტურად წარმართვისათვის, რაიმე სახის ღონისძიებები ხომ არ იგეგმება, რომ გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებები იქნას მოკლე ვადებში დასრულებული; ასევე დაინტერესება გამოხატა მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით.
- თემქის ხევის პარკთან დაკავშირებით მიმდინარეობს/დაგეგმილია თუ არა სამშენებლო სამუშაოები;
- აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონში პრობლემურია, საცხოვრებელი სახლების საყდენი კედლების გამაგრების აუცილებლობა და ამ მხრივ რა ქმედითი ღონისძიებებია დაგეგმილი;

საკრებულოს წევრმა, საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ოგბაიძემ გამოხატა დაინტერესება სატრანსპორტო ღონისძიებების განვითარებასთან დაკავშირებით, ამასთან, მეტრო გოცირიძის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების თარიღთან, მეტრო ვარკეთილის ქერის რეაბილიტაციის და ფუნიკულიორის პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა კონსტანტინე ზარნაძემ მზადყოფნა გამოთქვა ისაუბროს საკრებულოში გლდანის რაიონის მოსახლეობის საჭიროებებთან დაკავშირებით. ამასთან, გამოხატა დაინტერესება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაკავშირებით მათ, შორის პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხის შესახებ, ასევე, ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტურად წარმართვასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ზურაბ ჩიკვილაძე მიესალმა სხდომაზე დასმწრე საზოგადოებას და დაინტერესება გამოხატა ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პროგრამების უფრო მეტად განვითარებაზე, კერძოდ, სკრინინგისა და გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა კახაბერ ლაბუჩიძემ შეკითხვა დასვა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების და მედიათეკების მიმართულებით რა ღონისძიებებია დაგეგმილი, შენდება თუ არა ახალი ბალები, ამასთან, იგეგმება თუ არა ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების ოდენობის ზრდა.

საკრებულოს წევრმა გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ მოცემული ვითარებით, სამშენებლო ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, მოქმედებს გრძელვადიანი პროცედურები, რაც შემზღვეველი გარემოებაა სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებისათვის.

საკრებულოს საბა ბუაძემ მზადყოფნა გამოთქვა იყოს ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ საქმიანობის ეფექტურად შესრულებაში, ამასთან, დაინტერესება გამოხატა იმ პროგრამების ღონისძიებების მიმართ, რომლებიც არ იქნა ეფექტურად შესრულებული და აღნიშნა, არსებობს თუ არა ქმედითი ღონისძიებები შემდეგი საკითხების მოგვარების უზრუნველსაყოფად:

- კიკეთში, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩაზე, არსებულ მუხის ტყის ტერიტორიაზე, 5000 კვ.მ. ტერიტორიას, მიენიჭა სატყეო ზონა, თუმცა უძრავი ქონების ცენტრალურ ნაწილზე არ

ვრცელდება აღნიშნული ზონა, რაზეც დამტკიცებულ იქნა გრგ და გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, რაც მოსახლეობის მიერ იქნა გასაჩივრებული;

- რამ განაპირობა ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის გაჭიანურება, აქვს თუ არა ადგილი სისტემურ პრობლემას და ხომ არ არის დამატებითი ძალისხმევა საჭიროა.

- ასევე ისაუბრა სოციალური შემწეობების მზრდად მასშტაბებზე და დაინტერესება გამოხატა რა მიზეზმა განაპირობა აღნიშნული, ისაუბრა ასევე, ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების საჭიროებაზეც;

- ისაუბრა ლორთქიფანიძის ქუჩაზე კლდის ჩამოშლის შემთხვევაზე, გამოვლენი იქნა თუ არა პასუხისმგებელი პირი და სამომავლო ნაბიჯებია დაგეგმილი დაზარალებული მოსახლეობის პრობლემათა აღმოფხვრისათვის.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, ხომ არ იგეგმება ვარკეთილსა და დიდმის ტერიტორიაზე მიმდინარე მულტიფუნქციური ცენტრების მსგავსი ობიექტების სხვა ტერიტორიებზე აშენება, ახალგაზრდებისათვის ინოვაციის სივრცეების გაზრდის მიზნით.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჯაფარიძემ გამოხატა სურვილი ყველა რაიონში, განსაკუთრებით კრწანისში იქნას შესრულებული ყველა დაგეგმილი თუ მიმდინარე პროექტი, ასევე, კრწანისში დადგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ეტაპებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ალექსანდრე რატიშვილმა შეკითხვა დასვა, თუ რა ვითარება დიდმის ტყე-პარკის მშენებლობასთან დაკავშირებით, ასევე თბილისის მეწყრულ ზონებთან მიმართებით დაგეგმილია თუ არა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მონიტორინგი და მოლაპარაკებები პროცესში კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობათან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ლევან არველაძემ დაინტერესება გამოხატა ხომ არ იგეგმება ახალი მოსაკრებლების შემოღება ან არსებულის ზრდა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ნინო რუხაძემ წარმატებები უსურვა საზოგადოებას, ამასთან დაინტერესება გამოხატა ელიავას ბაზრის ტერიტორიის სარეკრეაციო მიმართულების განვითარების ეტაპებთან, ლილოს ნაგავსაყრელის რეაბილიტაციასთან და თბილისისათვის მოსაზღვრე ტერიტორიების შემოერთებასთან დაკავშირებით, დიდი ოდენობით მოსახლეობის განაცხადების გათვალისწინებით.

საკრებულოს წევრის გიორგი შარაშიძის კითხვასთან დაკავშირებით ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპისათვის სამშენებლო ნებართვების გაცემასთან მიმართებით არსებული პროცედურები არის ყველაზე ეფექტური და მოქნილი ვიდრე ოდესმე, ასევე დასძინა, რომ ხშირ შემთხვევებში პროცესის გაჭიანურების მიზეზს წარმოადგენს, არაკვალიფიციურად შედგენილი განცხადები და პროექტები.

დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, შემდეგი განმარტებები იქნა გაცემული მერის პირველი მოადგილეობის კანდიდატის ირაკლი ხმალამის მიერ:

- რევაზ სოხაძის კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში დატანილი იქნება ვალდებულება, ფუნქციურის დანიშნულების ცვლილების მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე დაუშვებლობასთან დაკავშირებით;

- მიწების მიტაცებასთან დაკავშირებით, რაც არის მუნიციპალიტეტის გამოწვევა, გასული პერიოდის მანძილზე ამოქმედებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანო მშენებლობებთან დაკავშირებით, შეაფერხებს ამ პროცესს;

- ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო პროცესთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმჯობესია, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს არსებული ადმინისტრაციული რესურსები და წარიმართოს ურბანული დოკუმენტების გაძლიერების მიმართულებით სამუშაოები, ასევე, მზადყოფნა გამოთქვა საკითხზე დეტალური მსჯელობის წარმართვისათვის.

- ავარიულ სახლების ჩანაცვლების პროგრამებთან დაკავშირებით განიმარტა, რომ აღნიშნული იქნება აღსრულებული ეტაპობრივად, სადაც უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის სრული ჩართულობა და თანხმობა, დასძინა, რომ პრიორიტეტი განისაზღვრება ავარიულობის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, ხოლო, ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს საპილოტე პროგრამები რაიონული მასშტაბებით;

- „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომპანია შეზღუდულია კონკრეტული პროექტისათვის გამოყოფილი ინვესტიციის ფარგლებით, ამასთან, დასძინა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა, მუნიციპალიტეტმა შეასრულოს კომპანიის საქმიანობები შესაბამის ობიექტებზე, ხოლო, გაწეულ სამუშაოებზე მიღებულ კალკულაციას ფინანსურად უზრუნველყოფს კომპანია, რაც იქნება მუნიციპალიტეტის მიერ რესურსის სხვა მიმართულებით გამოყენების შანსი;

- სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით დასძინა, რომ შესრულებული იქნება დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტით დაგეგმილი ვალდებულებანი და პროექტები, ასევე დასძინა, რომ მეტრო გოცირიძის სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება მომავალი წლის ივნისის-ივლისის თვეში;

- სამშენებლო ნებართვების ვადებთან მიმართებით დასძინა, რომ დაუშვებელია ვადების შემცირება, ვინაიდან, დროს საჭიროებს ნებართვის გაცემამდე შესწავლილ იქნას და დაკმაყოფილებული ყველა არსებული სამართლებრივი მოთხოვნა;

- კორუფციული ფაქტებს გამოვლენის საკითხთან დაკავშირებით დასძინა, რომ აღნიშნული არის სამწუხარო ფაქტი, თუმცა ყოველი გამოვლენილი შემთხვევა მუნიციპალიტეტისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ, იქნება დასჯადი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და იქნება მაგალითი სამომავლო გადაცდომების თავიდან ასარიდებლად, ამასთან დასძინა, რომ უმნიშვნელოვანესია საქმიანობის

განხორციელების პროცესში ყველა ჩართული სუბიექტის მიერ კეთილსინდისიერების გამოვლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცემული იქნება სათანადო სამართლებრივი პასუხი.

- სოციალური დახმარების მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული იყო მუნიციპალიტეტის მართლზომიერი პასუხი იმ სოციალური ფონის გათვალისწინებით, რაც მათ შორის განაპირობა არსებულმა პანდემიურმა ვითარებამ. ლევან ჯაფარიძის კითხვებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამები იქნება შესრულებული და მიმდინარე გეგმებშია მათი შესრულება;

- ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტერიტორიის მესაკუთრეებთან, რათ პროცესი დასრულდა ეფექტურად, დაკმაყოფილ იქნას მესაკუთრეთა ინტერესები და დაიწყოს ტერიტორიის რეაბილიტაცია.

- მოსაკრებლების ზრდის ან ახლის შემოღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საჭიროებები იზრდება და ამისათვის აუცილებელია შემოსავლების გაზრდა, რაზეც სურვილი გამოხატა წარმართულ იქნას სამუშაოები მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისათვის.

თბილისის მერის მოადგილეობის კანდიდატმა ირაკლი ბენდელიანმა წარმატებები უსურვა ყველას და დასმულ კითხვებთან დაკავშირებით გამოთქვა შემდეგი სახის განმარტებები:

- მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საჭიროებს ასფალტის კაპიტალურად ჩანაცვლებას, ასევე გარე განათების ქსელის მოწყობას, ხელისშემშლელ ფაქტორებად გამოვლენილია, მიწისქვეშა კომუნიკაციების (50 წლიანი) სიძველე და ცდომილება დაპროექტებულ მოლოდინთან მიმართებით, ამასთან, მოსახლეობისათვის, მიუღებელია კონტრაქტორი კომპანიის მიერ, სამუშაოების ღამის მანძილზე წარმართვა;

- ქუჩების რეაბილიტაციასთან დასმულ კითხვებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ მომავალი საბიუჯეტო წლის მანძილზე დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

- მეწყრულ ზონასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მიმდინარე ტერიტორიიდან მოსახლეობა იქნა გამოყვანილი, გამოვლენილი ფაქტის შესაბამისად, დაჯარიმებულ იქნა კონტრაქტორი კომპანია, ამასთან, მიმდინარეობს გამაგრებითი ღონისძიებები, რაც საჭიროებს რამდენიმე თვიან სამუშაოებს, ხოლო, ფერდის გამაგრებისა და უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნის შემდგომ, მოსახლეობა იქნება დაბრუნებული საცხოვრებელ ფართებში.

დარჩენილ კითხვებთან დაკავშირებით მერის მოადგილეობის კანდიდატმა ანდრია ბასიალაიამ აღნიშნა შემდეგი:

- ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით დატოვებული იყო მძიმე მემკვიდრეობა, რამაც მოიტანა საჭიროება ობიექტების რეაბილიტაციის პოლიტიკის ცვლილებასთან მიმართებით, მიმდინარეობს ამ ეტაპზე სამუშაოები, ამასთან, მომავალი საბიუჯეტო წელი დაეთმობა სხვა ღონისძიებებთან ერთად არსებული ბიბლიოთეკების რეაბილიტაციას;

- თემქის ხევის პარკის რეაბილიტაცია დაგეგმილია, რაც ასევე მოიცავს საგანმანათლებლო ფუნქციური ცენტრების მოწყობის საკითხსაც;

- არსებობს დაპირება, რომ მულტიფუნქციური ცენტრები განლაგებული იყოს დედაქალაქის ათივე რაიონში, ამ ეტაპისათვის მშენებლობა მიმდინარეობს სამგორსა და

დიდომში, რომლებიც დასრულებული იქნება მომავალი წლის ბოლოსათვის, რაც შეეხება სხვა ობიექტებს, მიმდინარეობს ფართების მოძიება, ახალი ობიექტების მშენებლობისათვის.

▪ დიდმის ტყე- პარკის საკითხი უმნიშვნელოვანესია დედაქალაქისათვის, აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რის გამოც იმდინარეობს კერძო მესაკუთრეებისაგან ფართების გამოსყიდვის (გაცვლის ფორმით პრივატიზება), აღნიშნული პროცედურის დასრულების წარიმართება სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც შეეხება დიდმის ჭალებს, აღნიშნული პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით, ამასთან, მომავალი წლისათვის გამოცხადებული იქნება ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესახებ;

▪ ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემასთან შესახებ აღნიშნა, რომ აქტიური წელი იქნება „თბილისერვის ჯგუფისათვის“, ვინაიდან, აღნიშნული პრობლემა დედაქალაქისათვის არის მნიშვნელოვანი გამოწვევა, ამასთან, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია ნარჩენების სეპარაციის ღონისძიებები, რაც ასევე, სახელწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, აგრეთვე დასძინა, რომ ამ მიმართულებით დაწყებულია მცირე სახის სხვადასხვა პროექტები ამ მიმართულებით.

კითხვა-პასუხის ფორმატის დასრულების შემდეგ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოსთვის სამართლებრივი აქტის პროექტის ინიცირების წესით წარდგენის უფლება, ამავე რეგლამენტით განსაზღვრული, უფლებამოსილი სუბიექტების გარდა, აქვს, ქალაქ თბილისის მერს, ამასთან, სხდომის წევრებს ამცნო, რომ აღნიშნული ინიცირების წესით, ქალაქ თბილისის მერის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმაღაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმაღაძის (პ/ნ: N01007008811) დანიშვნის შესახებ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი წინაპირობების შესახებ და აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება, მითითებული ორგანული კანონით დადგენილი წესით, თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე თანხმობის მიცემა, ხოლო, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით, თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტი სტილისტურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას(პ/ნ: 01031000727)დანიშვნის შესახებ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტი სტილისტურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის (პ/ნ: 01011041651) დანიშვნის შესახებ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტი სტილისტურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის (პ/ნ: 01024003660) დანიშვნის შესახებ საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტი სტილისტურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭილაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭილაძის(პ/ნ: 01017021457) დანიშვნის საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს შეახსენა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 16 იანვრის N10-3 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის და თბილისის მერიის თანამდებობის პირების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების საკადრო, ორგანიზაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და უცხო ქვეყნის თვითმმართველობებთან ურთიერთობის უზრუნველყოფას, აგრეთვე უზრუნველყოფს თბილისის მერიაში ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების მეთოდოლოგიურ დახმარებას და სამოხილიზაციო ღონისძიებების მართვას.

ლევან ჟორჯოლიანმა ასევე ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების შესახებ და მიუთითა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება, მითითებული ორგანული კანონით დადგენილი წესით, თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე თანხმობის მიცემა, ამასთან, მიუთითა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის მე-2 პუნქტი სტილისტურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგით - რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც

ითვალისწინებს, თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნის საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობის საკითხზე.

გადაწყვიტეს:

